№ 204. 1 ოკტომბერი, ხუთშაბათი. 1866—1881 1 ოკტომბერი, ხუთშაბათი. № 204.

რედაქცია
გალავნის ჰრანსპექტზეთ. იკ. შუხრანსკის ხახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებაზ“, „იგვერიის“ რედაქციაში, ქუთაისში, „დროებაიგვერიის“ აგენტთან ი. ფალიანოსთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“, „Иверіи“.

„დროებაზ“-„ივერიის“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროებაზ“ და „ივერიის“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
ცალკე { „დროებაზ“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
{ „ივერიაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ნკვეულებრივის ასო მთავრულითა ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე შეოთხედი კაპ.
თუ ხაჭირდება მოითხოვოს, რედაქცია განაწყობრავს და შეამოკლებს დახარჯულებულ ადგილებს, ანუ ეტყვის ყოველ-ეს. დ. უბეჭდველ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“, „ივერიის“ აგენტთან.
ფასი ერთ ადგილისა „დროებაზ“ „ივერიის“ დიდს ნკაპ.

ბბ. მუშტართ ჩვენი ფირმის ჩაის

უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე

ასოთ ა ბ ს
(20—4)
ძმანი ა. ბ. ს. პაპოვები,
საკაბრო სახლი მოსკოვში.

მცხეთოელების დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი „დროებისა“ გამოვა შაბათს.

საზაფხულო თეატრში
ქართული დრამმატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ყვარყვარე

ათაბეგი

ისტორიული ტრაგედია 5 მოქმედებად თხზულება თ. ბ. ერისთავისა.

მორთულობა და ჩაცმულობა ძველი ისტორიული, რომლისაცვისაც ხელ-ახლად იკერები ტანისამოსი. წარმოდგენაზედ იქნება საზანდარი, დუდუკი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამები

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის ხაგენტობი“)

ვენა, 28 ენკენისთ. დღეს გადაიცვალა ავსტრო-ვენგრიის უცხო-ქვეყნების საქმეთა მინისტრი ბარონ მერდე.

პეტერბურღი, 29 ენკენისთ. 27 ენკენისთვის სხდომაზედ გარდასწყდა: 1) რომ საპატენტო გარდასახადის მომატებით სიმთვრალე არ მოისპობა; 2) რომ სასმელი მადაზიების რიცხვის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ საერო საქმეების მწარმოებელთა დახმარებით; 3) საჭიროა სასმელი მადაზიების რიცხვის გარდაწყვეტის გარდა, ადგინიშნოს ადგილები, სადაც არ შეიძლება ამ გვარ მადაზიების გახსნა; 4) პატრონს იმ ადგილისა, სადაც ესურვებათ ამ გვარი მადაზიის გახსნა, შეუძლიან გასაცხადოს თავის თანხმობაც და უთანხმოებაც, რომ მის ადგილში გახსნან მადაზია.

28 ენკენისთვეს გარდაწყდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს წინადადება, რომ ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება გაგრძელდება 5-ს კვირასა. „პეტერბურღის უწყებები“ იწერებიან, რომ სახელმწიფო რჩევაში იქნებიან მოწვეულნი წევრებათ სხვადასხვა ერობის მცოდნე პირები.

გაზ. „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია: პეტერბურღში მოვიდა ინგლისის ელჩი ტორნტონი. სახელმწიფო ბანკმა გაჭიდა ეგვეტა ახალი სესხის ბილეთები.

პეტერბურღი, 29 ენკენისთ. დღეს დაიწყეს აქაურ სასამართლოში „ჩოტრნი პერედელის“ საქმის გარჩევა. გამამტყუნებელად არის მურავიოვი, ბრალდებულ სოციალისტების დამცველებათ არიან: ტურჩანინოვი, ლეგენსონი და მიხაილოვი. სასამართლოს კარები დიან. ბევრი საზოგადოებაა. გამამტყუნებელ აქტის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გამგე იგნატიევის ბრძანებით სასამართლოს კარები უნდა დაიხუროს. საზოგადოება გამოვიდა სასამართლოს ზალიდამ.

პეტერბურღის ბირჟა, 29 სეკტემბ.

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემისა—	96—	19
მეორესი— — — —	93—	12
მესამესი — — — —	93—	75½
მეოთხესი — — —	92—	37
აღმოსავლეთის პირვ.—	90—	75½
აღმოსავლეთის მეორე	90—	75½
აღმოსავლეთის მესამე	91—	„
ოქრო, ½ იმპერიალი	7—	63
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	224—	„
მეორე სესხის — —	218—	25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი —	26—	„	პენსი
ბერლინი —	„ —	„	პფენიგი
ამბუღლი —	221—	51	ცენტი
პარიჟი — —	274—	25	სანტიმი
ქავკასიის კერასინი	— —	—	

ბ. მარკოვის საჩივარი.

თბილისი, 30 სეკტემბერს.

მოგეხსენებათ, რომ გაელილ კვირას იყო 50 წლის იუბილეი თფილისის კლასიკურ გიმნაზიისა. ჩვენც და ყველა სხვამაც, ვინც ამ იუბილეიზე დაესწრო, ვინც მოისმინა ერთის მასწავლებლისაგან შედგენილი ისტორია ამ გიმნაზიისა და განსაკუთრებით თვითონ ბ. მარკოვისაგან წაკითხული ანგარიში ამ გიმნაზიის უკანასკნელ 5-6 წლის არსებობისა,— ყველამ ის აზრი გამოიყვანა, რომ ამ უკანასკნელ დროშდინ, ე. ი. ბ. მარკოვის დირექტორად დანიშვნამდინ გიმნაზიის წარმატებისათვის არც ერთ დირექტორს არა გაუკეთებია-რა, არა შეუძენია-რა გიმნაზიისათვის და სხვ. რაც გაკეთდა ამ 5-6 წელიწადში გაკეთდაო, რასაც ახლა ჰხედავთ გიმნაზიაში, სულ მე, ბ. მარკოვმა, გავაკეთე და შევეძინე გიმნაზიას და იმის შაგირდებსაო.

ერთის სიტყვით, ბ. მარკოვს ეტყობოდა, რომ ეს იუბილეი თავის საკუთარ იუბილეით გარდაექცია; უნდოდა, რომ აქ თავის მოღვაწეობა და დიდება ეჩვენებინა იმას საზოგადოებისათვის.

არ დავიწყნია, რასაკვირველია, ბ. მარკოვს არც თავის უფროსი—ქავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველი ბ. იანოვსკი. როგორც ერთგულ . . . . . შეჰშვენის, ისე აქო და ადიდა იმან თავის უფროსი, თავის ნაჩალნიკი და იმის თავ-განწირულება ქავკასიაში სწავლა-ვანათლების სხივის მოფენისათვის.

ნახევარი საათი თავის სიტყვისა ამ თავის-თავისა და თავის უფროსის ქებასა და შემკობას მოანდომა ბ. მარკოვმა. მეორე ნახევარი საათიც ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების კიცხვალანძღვას.

ეს ჟურნალ-გაზეთები ისეთ კაცებს ჩავარდნიათ ხელშიო, რომელთაც პედაგოგიისა არა ესმისთ-რაო და იმდენად კეთილ-სინდისიანებიც არ არიანო, რომ ჯერ ბეჯითად შეიტყონ რამე და მერე ისე სწერონ და ბეჭდონო. რაც მოხვდებათ კალმის წვერზე, ჯლაბნიანო, ცილს გვწამებენო და ყველა ამით ჩვენს შაგირდებს ჩვენზე გულს უცრუებენო, ამათ (შაგირდებს) ჩვენი პატივის-ცემა და კრძალვა აღარა აქვთო, ავტორიტეტი გვეკარგება იმათ თვალშიო და სხვ. და სხვ. ბევრი ამისთანა მკვახე სიტყვებით მოგვიხსენია.

რასაკვირველია, სამწუხაროა, როდესაც ამისთანა აზრის კაცი არის გიმნაზიის უფროსი, 700-800 შაგირდის ხელმძღვანელი, მაგრამ ჩვენც იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ყველა ამას ამბობს ისეთი კაცი, რომელსაც ერთხელ და ორჯერ არ მოხვედრია ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისაგან . . . . . .

ამათთანა კაცებს ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ, რომ, თუ გაზეთი ტყუილს ამბობს იმათზე, სიცრუეს არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ ექნება და ამ შემთხვევაში გაცხარება იმათის მხრით სრულიად უადგილოა. და თუ მართალს სწერენ, ეს იქმნება თვითონ იმათთვის კი არ იყოს სასარგებლო, მაგრამ მაგიერად ამით ეძლევა სარგებლობა ხალხსა და თვითონ მთავრობასაც, რომელიც ტყობულობს—ვინ არის იმის ერთგული და ნამდვილად აღმასრულებელი თავის თანამდებობისა და ვინ არა. მართალია, შეიძლება გაზეთი ან ჟურნალი შეცდეს; შეიძლება ისეთი ვინმე განჰკიცხოს, რომელიც გაკიცხვის ღირსი არ არის, ან ისეთი ვინმე აქოს რომელიც ქების ღირსია არ არის. მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში არც ამით წახდება და ვაფუჭდება რაშე, რადგან გაზეთი თავის დღეში იმისთანა შეცოდებას ვერ ჩაიდენს, რომლის გასწორება თვითონ იმასვე არ შეეძლოს, თვითონ გაზეთითვე არ შეიძლებოდეს.

მაგრამ განა ყველა ეს ბ. მარკოვმა და იმისთანა ხალხმა არ იციან? იციან, ძალიან კარგათაც . . . . . პატიოსნად თავის მოვალეობის აღმსრულებელთ, არა თუ ჟურნალ-გაზეთისა, არაფრის არ ეშინიანთ. იმათთვის იმათი საქმის და მოქმედების გამოაშკარავება სასიამოვნოა და სანატრელი. დღის სინათლეს მხოლოთ ბნელ საქმეების მაძებარნი ერიდებიან.

ახალი ამბები.

ბუშინ თბილისის კლუბის საზაფხულო სადგომში თფ. ბიბლიოთეკაში ერთ დროს კურს-შესრულებულთ გამართეს სადილი, რომელზედაც ას კაცზე მეტი დაესწრო. სხვათა შორის აქ იყვნენ: თ. ბრ. დიმ. ორბელიანი, ა. ძ. მამაცოვი და ლ. ს. ისარლიშვილი, რომელთაც ჯერ „კეთილ შობილ სასწავლებელში უსწავლიათ და მერე პირველად გახსნილს გიმნაზიაში, და რომელთაც ამის გამო უუძველესს გიმნაზიელებს ეძახდნენ. დაესწრენ აგრეთვე ქავკასიის სამასწავლო მეზრის მზრუნველი ბ. იანოვსკი, თ. დიმ. დ. ჯორჯაძე, თ. იასსე ანდრონიკოვი, დ. ი. ჩუბინაშვილი, ალ. ა. ცაგარელი და სხვა ბევრი, რომელთაც ამ გიმნაზიაში სწავლა შეუსრულებიათ.

მაგრამ ამ საამხანაგო სადილმა, საუბედურო ოთ ისე უგემურად და მოწყენილად ჩაიარა, რომ ზოგიერთებს ძილიც კი მოერიათ, სანამ სადღეგრძელუები არ დაიწყეს. პირველი სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა წარმოსთქვა თ. ბრ. ორბელიანმა. ბ. იანოვსკიმ წარმოსთქვა სადღეგრძელო დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის ძისა და ამასთანავე წაიკითხა ტელეგრამმა, რომელიც იქ შეკრებილ

საზოგადოებამ გაგზავნა დიდის მთავრის სახელობაზე.

შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო უუძველესს გიმნაზიელების: თ. გრ. ორბელიანის, ქ. მამაცაშვილისა, ლ. ისარლოვის და სხვების. ბ. ქ. მამაცაშვილმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც გამოხატა ქართველ ხალხის სწავლისადმი ხალისი ძველის დროიდამვე, მეოთხე საუკუნიდამ დაწყებული რუსეთთან შეერთებამდინ და რუსეთთან შეერთების შემდეგ. მოიხსენა საბერძნეთის გავლენა საქართველოს განათლებაზედ, მონასტრებში შეფარებული სწავლა, სვა-და-სხვა ქართველ-სომეხ მწერლები, ისტორიკოსები პოეტები და სხვ. და შემდეგ დალია სადღეგრძელო იმ პირთა რომელნიც ახლა იღწვიან ჩვენი გიმნაზიისა და საზოგადოთ განათლებისთვისაო.

ეს სიტყვა ძალიან საინტერესო სიტყვა იყო და ჭკუის-მასწავლებელი იმ ჩვენ ზოგიერთ პედაგოგებისა და სხვებისთვისაც, რომელნიც, თავიანთის უმეცრების გამო, ამტკიცებენ, ვითომც ადრე საქართველოს ხალხი ერთი მხეცი, გაუნათლებელი ხალხი იყოვო და ახლა სულ ჩვენის წყალობით უდგია სულიო. სამწუხაროთ პატივცემულმა კონსტანტინე მრისტეფორეს-ძემ ერთობ გრძლად ილაპარაკა და დაბალის ხმით, ასე რომ ბევრს არ ესმოდა იმის საინტერესო საუბარი.

დანარჩენი „სიტყვები" კი ღმერთმა შეინახოს: ერთმა დალია გიმნაზიის სადღეგრძელო, რომელმანც კარგი მოსამსახურეები გამოუზარდა ხელმწიფესაო; მეორემ აღტაცებით მოიხსენა, რომ, ამ გიმნაზიის წყალობით, მადლობა ღმერთს, ჩვენ გავრუსდითო; მესამემ ერევნის გიმნაზიის სომხებისა და თათრების სადღეგრძელო გადაყლუპა და სხვ.

უხეიროდ დაწყებული სადილი უხეიროდ გათავდა საღამოს 6 საათზე.

ზოგიერთებს უნდოდათ ხელისმოწერა გაემართად და იმდენი ფული მოეგროვებინათ, რომ ამ ფულის სარგებელით ერთი ღარიბი შაგირდი გამოეზარდათ თფ. კლასიკურ გიმნაზიაში. მსეც კი ვერ მოახერხეს...

* * *

ზუგდიდიდამ გვწერენ, რომ იქაურს ორ-კლასიან სასწავლებელში იმდენი შაგირდები არისო, რომ ვერ ეტევიანო და ადგილი რომ ყოფილიყო, წელს ორი ამდენი იყო კიდევ მსურველები, რომელთაც უარი უთხრესო.

საქალებო სკოლის გახსნის განზრახვა აქვთ ღ. ზუგდიდშიო და ამ სკოლისათვის დიდ შემწეობას მოელიან სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის ქვრივის უგანათლებულესის კნეინის ეკატერინე მინგრელსკისაგანაო, რომლის სასახლის მახლობლადაც უნდა გაიმართოს ეს საქალებო სკოლაო.

* * *

იმ ყმაწვილის თაობაზე, რომელიც ამასწინათ ხელ-ფეხ შეკრული იპოვნეს სოფ. ქულაშში, ურიების უბანში, შემდეგ ამბავს გვწერენ კიდევ ღ. ხონიდამ:

„დღეს, 23 სექტემბერსს, დილის 7 საათზედ, ვილაც სახეზედ არეულ მგზავრმა შამოაჭენა ცხენი ჩვენს მინგრეულ-მოგრეულ დაბაში. დანახვისათანავე შემომყვირა მგზავრმა, რომელსაც ხელთ კონვერტი ეჭირა:

—„სად ბინადრობს გამომეძიებელი? და კონვერტი იმ წამსვე მომაწოდა.

„კონვერტზედ ეწერა:„ **Весьма нужное, срочное, экстренное!..** ამ წარწერილობამ და მასთანვე მგზავრის არეულმა სახემ, რომლითაც რაღაც დიდი გაჭირება იხატებოდა, მაკითხვინეს მგზავრს თუ რა ამბავია? აი სტუმრის ნაამბობი:

—„წუხელ, შუაღამეზედ, საშინელი ამბავი მოხდა ჩვენს სოფელში—ქულაშში. (სოფ. ქულაში ხონიდამ 12—13 ვერსის მანძილზედ მდებარეობს). ჩვენებურს ურიებს ერთი გლეხის შვილი ერთ მათგანის სახლში შაეკეტათ და შეეკრათ თოკით მაგრად. პირში ხმის გასაკმენდი ბურთი მიეცათ და წვალებას უპირებდნენ თურმე. ამ დროს ღამის ყარაულებს (ხევისთავებს) გაეგოთ და მისცვენოდნენ. ენახათ რამოდენიმე ურია და მიწაზედ უსულოდ გდებული 15—16 წლის ქრისტიანის შვილი... კონვერტიც ამაზედ გახლავთ, ბატონო.

„ასე დაბოლოვა ამბავი და გზას გაეშურა.

„ერთი საათის უკან გამომეძიებელი ბ. ვ. ერისთავი გავიდა ქულაშისაკენ.

„ამ საქმეზედ მეორე მგზავრის ნაამბობი:

—„საშინელი ამბავია სოფ. ქულაშში? ხალხი საშინლად აღელვებულია: ლამის ვაქლიტონ ურიები. პოლიცია ამშვიდეს. გლეხის შვილი, რომელიც შეეკეტათ, უხმოდ გდია: ამბობენ, მოკვდებაო. ბრალდებულები ყველანი დაჭერილი არიან. ხალხი ამტკიცებს ჩვეულება აქვთ ურიებს, და კაცი არ ჩნდება გამგონე! ხალხის კრება 3,000-ზე მეტი იქნება."

„მესამე სტუმარი.

„—ურიებისათვის ყმაწვილს საღამოს ბადრიჯანი მიუყიდნია. წაუღებინებიათ კიდეც შინ. ფულის მიცემა დაუგვიანებიათ, ხურდას ველითო.- როცა შეღამებულა, ბავშვი თოკებით შეუკრავთ. პირში ბურთი მიუციათ. შუაღამის პირველ საათამდი კუთხეში მიუგდიათ. პირველ საათზედ კი დაუკიდნიათ ყმაწვილი მაღლა. ამ დროს პირიდამ ბურთი გამოსცლია და მაღლა დაუყვირნია; ეს ყვირილი ყარაულებს გაეგონათ და მიშველებიან. ურიის სახლის უკან ამბობენ, სამარე გაჭრილიაო."

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაურ სომხებს დიდის ამბით უდღესასწაულნიათ თავიანთ წმ. გიორგის დღეობა გავლილ შაბათს. ადგილობრივ მღვდ. მ. ტერ-დავით ისარლიანცის თაოსნობით ამ დღეს, ქუთათურ სომხებს გარდა, სხვა სარწმუნოების პირნიც ყოფილან მოპატიჟებულნი სომხის სკოლაში, რომლის სასარგებლოდაც ალეგრი ყოფილა გამართული, შემდეგ დაირა, ლეკური და მხიარულობა ყოფილა. მ. ტერ-დავითის წინადადებით, მრევლს გარდაუწყვეტია, რომ ეს დღე ქუთათურ სომხებმა მუდამ წელს იდღესასწაულონ.

* * *

შორაპნის მაზრიდამ გვწერენ:

„არგვეთი ეწოდება ნახევარ შორაპნის მაზრას. ეს მხარე ნაქები არის პურისა და ღვინის მოსავლით, მაგრამ ხალხმა გააფუჭა ამ გვარი საქები მოსავლის სახელი.

„როდესაც პურს ფქვავენ და გასასყიდველათ ამზადებენ, აქაურები შიგ ურევენ თეთრს სიმიდს, ასე რომ ფქვილს სამი წილი სიმიდი აქვს და ერთი წილი პური. ამ გვარ ფქვილს პურის ფასათ ჰყიდიან და ატყუებენ მყიდველ ხალხს. მე ჩემი თვალით მინახავს ორს ფუთს პურში გაერიოთ შვიდი ფუთი თეთრი სიმიდი და მიეცსთ წისქვილში დასაფქველად. ზმინდა ღვინოში ურევენ ჩვენებურ გადმოდუღებულ ანწლის წვენს; ამით აშავებენ ღვინოს და ვისაც კარგი შავი ღვინო აქვს მაზანდა მისია. ქუთაისში შენიშნეს ეშმაკობა და დამნაშავები პოლიციამ დაიჭირა, მაგრამ მეორეთაც არ დაიშალეს ამისთანა გაფუჭებული ხორაგეულის გაყიდვა.

„არგვეთის სახელი აქვს კიდევ რამდენსამე ქუთაისის მაზრის სოფლებს: ქუთაისის და შორაპნის მაზრებს ყოფს ძირულის მდინარე. ამ მდინარეზედ ბევრი წისქვილებია და იმოდენა პური მიდის აქედამ ქალაქში, რომ ნახევარ ქალაქის მცხოვრებელთ ასაზრდოებს და ამ წისქვილებში იფქვება ეს გაფუჭებული პური. ქუთაისის ქალაქის მმართველობა და პოლიცია რომ ინებებდენ და ამ საქმეს მოახსენებდენ ბ. გუბერნატორს, გუბერნატორი უბრძანებს შორაპნის და ქუთაისის მაზრის უფროსებთ და ადვილათ მოხერხდება რომ ველარავინ გაბედოს ამისთანა გაფუჭებული პურის დაფქვა წისქვილში. ამ ნაირათ და სხვა განკარგულებით ქალაქის მცხოვრებლები პურს პურათ იყიდიან, ღვინოს ღვინოთ და სიმიდს სიმიდათ."

* * *

ნუხიდამ გვწერენ 26 სექტემბერს: „ღმერთმა თქვენ მტერს მისცეს ამისთანა ავდრები, როგორიც ამ თვის ცამეტიდგან დაიწყო აქა. საშინლათ გააფუჭა ვენახები, ყურძენი ზედ დაალპო ვაზებზედ. შინიდგან გარეთ აღარ გამოგვახედა. ამ მხრის ხევები ბუდიდგან გადმოვარდნენ და ვინ იცის რამდენ ვნებას მისცემს სხვაფრითაც გაჭირებულ გლეხ-ხალხს. ბევრგან ამბობენ ჩალთუკები წაუღიაო. ეს ორი დღეა არც ფოჩტა მოსულა. ოთხი დღე ისე გაუწყვეტლივ წვიმდა, რომ ერთი მინუტი არ გადაუღია.

„უჩელას მოველოდით, მაგრამ ახლა უცბად ზამთარს კი არა. თუმცა ბარათ კი ფეხი ვერ მოიკიდა თოვლმა, მაგრამ მთები კი დათოვლა, ხანბალაღზედ და მის გადასწვრივ მთებზედ დიდი თოვლი სძევს. ვისაც შეძლება აქვს და არა, ფეხები და ბუხრები მონახეს. თუ კარგი ცხარე მზე არ გამოვიდა, იქმნება ორ კვირასაც არ აილოს თოვლი ამისთანა ცივსა და ღრუბლიან დღეებში."

„დროების" კორრესპონდენცია

—

ნახჩევანი, 19 სექტემბერს. სექტემბრის 8-ს წამოველით დილიჟანიდგან ერევნისაკენ. საღამოს 4 საათზე მოველით სოფ. ჩიბუღლიაში და თათოზ მარდანიანცის ქარვასლაში ჩამოვხტით. ცოტა ხანს შემდეგ, გარეთ რაღაც ხმაურობა შეიქმნა; პირველად ყურადღება არ მივაქციეთ, მაგრამ რა გავრძელდა ხმაურობა, ამბის შესატყობლად გაველ ხანის კარებზე და ვნახე, რომ 4-5 თოფ-იარაღში ჩამჯდარ სომხის ცხენოსნებს ორი კაცი ჩაუყენებიათ შუაში და საშინლათა სწეწავენ; ზოგი უყვიროდა: თქვენ თუ ავაზაკები არა ხართ, რათ გაგვექეცით, ან მთაზე რა გინდოდათო! ზოგი გაფითრებული უშვერის ლანძღვა-გინებით ყვიროდა: ჩვენ თქვენს უკან დევნით ცხენები დაგვეხოცა და ჩვენს ნაჩალნიკთან უნდა წაგიყვანოთო!

ამ დროს მოვიდა მათთან ერთი თეთრ ჩოხიანი კაცი, ესეც მათსავე განრისხებული, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მათი უფროსი იყო და უბრძანა თავის მხლებლებს, რომ იმ ერთსაც წაართვან თოფ-იარაღი (ერთისათვის უკვე წართმეული ჰქონდათ). ბრძანების მორჩილნი მსწრაფლ მისცვივდნენ თოფ-იარაღის ასაძრობლად, მაგრამ ამ კაცმა არ დაანება თავისი თოფი. თეთრ ჩოხიანმა თითქო სულთა-მხდელი მიაგდო ზედ ცხენი, რამდენიმე მათრახი უთავაზა თავ-პირში, ძალად ააძრეს მას მხრიდგან თოფი და დააპირეს მათი წაყვანა თავიანთ ნაჩალნიკთან. მათ მოითხოვეს ერთი თავიანთ ამხანაგთაგანი, მოგვიყვანეთ, ვნახოთ—რა გიქნიათ, ცოცხალია თუ მოგიკლავთ და მერე საცა გინდათ, წაგვიყვანეთო. თეთრჩოხიანმა გაგზავნა ერთი თავის ცხენოსანთაგანი და მსწრაფლ მოიყვანეს ერთი სქელ-სქელი, შუატანის კაცი, რომელსაც მარჯვენა ლოყიდგან სისხლი სდიოდა.

ამ დროს მოვიდა ამავე სოფლის ქვეხა (მამასახლისი) და რა ბილეთით სცნო მათი კაი კაცობა, უბრძანა, თუმცა მე შემიძლია თქვენი განთავისუფლება, მაგრამ ნაჩალნიკს ჩამაბეზღებენ, რომ ავაზაკები დაიჭირეთ და მამასახლისმა გაანთავისუფლაო და ამისგამო თქვენ დაგიწერ ნაჩალნიკთან ქაღალდს, ამ კაცებთან ერთად

წახვალთ ᲫᲔᲡᲕᲐᲜ ᲡᲐᲠᲐᲨᲘᲝ (რომელიც ჩიბუღლუდამ 20 ვერსზედ მდებარებს), თითონ ნაჩალნიკი აქ არის და როგორც უნდა, ისრე მოგექცევათო. რა დაასრულა, თვითონ განზე გადგა.

ᲥᲕᲐᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲔᲮᲕᲘᲕᲜᲔᲜ ᲘᲛ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲚᲝ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲡ ᲬᲔᲬᲕᲐ.

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ Ა. ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘᲐᲜᲡ ᲨᲔᲑᲠᲐᲚᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲮᲡᲜᲐᲡ ᲘᲛᲐᲗ ᲮᲔᲚᲘᲓᲒᲐᲜ.

ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲒ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲬᲐᲰᲧᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲗᲐᲜᲐᲝ; ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲐᲥᲢᲘ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲬᲔᲠᲐ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ. ᲘᲛ ᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲐᲜᲡ; ᲛᲔᲠᲛᲔ ᲛᲔ ᲛᲘᲕᲔᲚ ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲔᲮᲕᲔᲓᲘ ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ:

— ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲮᲐᲠᲗ?

— ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲘ ᲥᲣᲙᲘᲓᲒᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲔᲗᲠ ᲩᲝᲮᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲮᲐ. ᲛᲘᲮᲐᲙ ᲑᲐᲑᲝᲘᲐᲜᲪᲘᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲚᲝᲧᲘᲓᲒᲐᲜ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲓᲘᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲘᲡᲗ ᲡᲝᲡᲘᲙᲝ ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲖᲐᲥᲐᲠ ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘ.

— ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲘᲗ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲔ ᲘᲛᲐᲗ.

— ᲜᲝᲔᲛ ᲑᲐᲘᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲒᲐᲜ.

— ᲘᲥ ᲠᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ?

— ᲝᲗᲮ-ᲤᲔᲮ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲘᲓᲚᲐᲗ.

— ᲐᲛ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲠᲔ ᲒᲐᲬᲕᲐᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ?

— ᲐᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲡᲬᲧᲔᲕᲚᲝᲡ ᲛᲐᲒᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲘ! ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲑᲐᲑᲝᲘᲐᲜᲪᲛᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ᲫᲚᲔᲜᲝᲕᲙᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲕᲔᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲘᲚᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲬᲐᲡᲚᲕᲐ, ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲕᲪᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲕᲔᲚᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲪ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲰᲡᲭᲠᲘᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚ ᲩᲘᲑᲔᲚᲚᲝᲡ ᲒᲐᲣᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲓᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔᲗ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲖᲔᲓ 8—9 ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲡ. ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲐᲒᲕᲔᲡᲐᲤᲠᲘᲜᲔᲜ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲗᲗᲖᲔᲓ ᲒᲐᲕᲔᲓᲭᲘᲐᲜᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ, ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ, ᲕᲔᲠ ᲕᲘᲧᲐᲓᲔᲗ 600—700 ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲖᲔᲓ, ᲨᲔᲒᲕᲔᲨᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲕᲘᲔᲗ ᲗᲐᲕ-ᲓᲐᲚᲛᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲡ. ᲠᲝ ᲒᲐᲕᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲗ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲐᲪ ᲡᲪᲜᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲐ, ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚ ᲨᲔᲡᲮᲓᲜᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲡᲐᲓ ᲬᲐᲒᲕᲘᲮᲕᲐᲚᲗᲝ!" ᲫᲐᲮᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲜᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ. ᲐᲛᲐᲗᲘ ᲔᲡᲠᲔᲓ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲠᲝ ᲒᲕᲔᲡᲛᲐ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲮᲔᲚ-ᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲮᲚᲘᲢᲔᲗ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ: ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲚᲘᲗ ᲔᲐᲙᲔᲖᲔ; ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲘᲚᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲬᲐᲡᲚᲕᲐ, ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲪᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲪ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲬᲧᲝᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲔᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲡᲚᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲝᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲔᲚᲐ Ს. ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ:

— ᲛᲔ ᲪᲮᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲘᲓᲒᲐ, ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲠᲢᲧᲜᲔᲜ, ᲗᲐᲕ-ᲞᲘᲠᲨᲘ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲪᲮᲔᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲐᲒᲓᲔᲡ, ᲗᲝᲗᲤ-ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲡ, ᲢᲧᲕᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲘᲛᲓᲪᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲡᲝᲡᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲛᲬᲧᲕᲓᲘᲔᲡ.

ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲗᲐᲪ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲡ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲧᲐᲩᲐᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ, ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲛᲗᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗᲝ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲡ ᲔᲡᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲐᲜ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲘᲕ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲭᲘᲠᲐᲓ, ᲨᲝᲠᲡ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲤᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲣᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜᲝ.

ᲡᲝᲡᲘᲙᲝ ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ 245 ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲬᲐᲣᲠᲗᲛᲔᲕᲘᲐᲗ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲜ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲪᲐ. ᲜᲣ ᲗᲣ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲫᲔᲠᲕᲐᲜᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲛᲤᲠᲝᲡᲡ?

ᲤᲔᲠ. ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲚᲝ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲓᲐᲛ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡᲡ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲡᲠᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, — ᲠᲐᲪ ᲮᲔᲕᲘᲡᲗᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲡᲓᲐ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲓᲚᲝᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ თ. ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲡ Ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ.

ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲓᲐᲣᲫᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲠᲣᲜᲕᲔᲜ Ბ. ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲗᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲠ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐᲔᲑᲨᲘ: ᲡᲕᲘᲠᲨᲘ, ᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲝᲠᲨᲘ, ᲡᲐᲬᲘᲠᲔᲨᲘ, ᲤᲐᲠᲪᲮᲐᲜᲐᲧᲐᲜᲔᲕᲨᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ, ᲜᲐᲮᲐᲮᲣᲚᲔᲕᲨᲘ, ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲨᲘ, ᲥᲣᲮᲨᲘ, ᲦᲐᲜᲘᲠᲨᲘ, ᲖᲕᲐᲛᲢᲘᲑᲨᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲨᲘ, ᲫᲕᲘᲢᲘᲠᲨᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐᲛᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲬᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲕᲘᲛᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲜ.

ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲪᲣᲓᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲗᲝᲡᲝᲤᲚᲐᲛᲓᲔ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐᲪ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲔᲥᲜᲝᲗ ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲙᲘᲠᲐᲭᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲘᲡᲠᲔ თუ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ—ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲘᲠᲐᲭᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜᲘ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲜᲘ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲨᲘ, ᲘᲡᲠᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ; ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥᲐᲪ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲠᲔᲗᲜᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ. ᲨᲝᲠᲐᲡ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲤᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲣᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜᲝ.

ᲡᲝᲡᲘᲙᲝ ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ 245 ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲬᲐᲣᲠᲗᲛᲔᲕᲘᲐᲗ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲜ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲪᲐ. ᲜᲣ ᲗᲣ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲫᲔᲠᲕᲐᲜᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲛᲤᲠᲝᲡᲡ?

ᲤᲔᲠ. ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲚᲝ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲣᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲚᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲐᲪᲘᲚᲝᲡ.

— ᲠᲣᲡᲣᲚ ᲒᲐᲖ. „ᲐᲮᲐᲚ ᲐᲛᲑᲔᲑᲨᲘ" ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲝᲡ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲯᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲣᲠᲩᲔᲕᲔᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲐᲥᲪᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲓ. ᲐᲛ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲓᲐᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ 10,300,000 Მ., ᲐᲥᲕᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ 29,360,000 ᲛᲐᲜ., ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲣᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲓᲐᲛ. ᲔᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲣᲬᲛ. ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲘᲩᲘᲠᲘᲙᲔᲑᲐ. ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲡᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲔᲪᲔᲡᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲖᲔᲓ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲘᲩᲘᲠ

უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

ნაფიცი ვექილი
ალექსანდრე მირიანის-ძე
ჭყონია
ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის ბალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4—1)

ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბაღდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნიეთები, ქალის უნაგირები ხაველდისა და ლორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კრაოტები, სკამები, ლამპები, საყავეები. ბარფიუმერიიდგან: ვასალამაზებელი ორიზა და ჭორფლის წამალი ლე-ძანდესი, პუდრები ორიზა, ველუცინი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ. (5—2)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო
თაიგული

შედგენილი და გამოცემული **ილია ჭავჭავაძისგან.** შინაარსი: I **ბაბუას ოხვნა** (ლექსი) მ. ფაზელისა, II **უბედური შემთხვევა** (ამბავი) ჭ—სა, III **ჩემს სურათებზე** (ორი ლექსი(მ. ფაზელისა, IV **მ...სადმი** (ლექსი) ბ—სა, V **ფერი ფერს—ძალი ღმერთს** სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩაი-ვიდა ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი ბასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

აუქციონი

17 და 24 ოქტომბერს 1881 წ. კავკასიის აქეთა-მხრის ბრიკაზში აუქციონით გაისყიდება ოქრო ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. (3—1)

ნერსესის სომხის სასულიერო სემინარიის კოკეჩიტლების. კრებაში ამ მამავალ ოკტომბრის 7-სა და 14-სა იქნება **ტოლგი** (უპერეტორშეგოთ), იჯარით მისაცემათ სემინარიის მამულისა ქვემო-ალწერილ რიგზედ. ამთვის 7-სა ნერსესის ძველი სემინარიის ქვემო ეტაჟის 32 დუქანი და ახალი სემინარიის ქვემო ეტაჟის 7 ოთახი ოქტომბრის 17-სა ძველი სემინარიის პირდა-პირ ნამყოფი 21 დუქანი, მოჭდეულ სამჭედლოებით.

ტორგი იქნება ზემოხსენებულს დღეებში 7 საათზედ შუადღის შემდეგ, განსაკუთრებით ყოველ მამულისთვის.

პირობის ქაღალდის წაკითხვა შეიძლება პოპეჩიტლების კანცელიარიაში, ყოველ დღეს, გარდა კვირის და უქმ დღეებისა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—2)

ა. შარიბეგოვის
მაღაზიაში

გალვინის ბროსპექტზე. ახლად მიღებულია საუკეთესო სამზღვარ-გაზეთის ფაბრიკებისაგან უკანასკნელი ფასონის: მზა ზედა ტანთ საცმელები ქალებისა და ყმაწვილებისა საშემოდგომო და საზამთრო მაგალითათ, ქალებისა **წამოსასხმი,** ვატერპრუფები, **პალტოები,** დოლმანები, როტონდები, ჟაკეტკები, ორთავ სქესის ყმაწვილებისათვის პალტოები. ქალებისა და ყმაწვილებისათვის მაუდის საცმელები, პენიუარები და იუბკები აგრეთვე მიღებულია მრავალი საუკეთესო ჩულქები ყოველ გვარისა, ვარშავისა და სამზღვარ გარეთის ფეხსაცმელები ყოველი გვარისა, აგრეთვე გალანტერის საქონლები.

მსურს რო გავაცნო ჩემი მაღაზიის საუკეთესო საქონლები და სიაფე, თფილისელ საზოგადოებას, იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება თავის წევეას არ მომიშლის.

ყველა ზემოხსენებულ საქონლები ერთობ რიგიან ფასათ ისყიდება.

ა. შარიბეგოვი.

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალღერეაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
სუფთა 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—45)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ავლა მკვანი მაკ-ფარ-ლენი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოძადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასხობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (100—55)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, ბირის-საბანი, კლიტეები, სამურგელი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშჩები, ვანები, ქამრები, საუელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, ბირისასოცი, ცხვირის-სასოცი, ხუდქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი სარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფიდდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუქ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—16)

შეშა ისყიდება იაფათ, კუკიის ხიდის ეურზედ, ნაბერეულის ქუჩაში. აბრამ. (5—5)

ჩაის მცოდნე ჭირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჭირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტეკეოთ. (100—42)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სასოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუგრისისა (გემრიელი კლუბინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს განსასყიდლად კანფეტების და ბატეჯრის და კომპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაბანას გიარები. (100—29)

ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატური — — — 10 კ.

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
მესამის „	—1 გირ.	3½
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4½
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5½
მესამის „ „	—1 გირ.	5 კ.
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი